სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 11

2022 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

„2022 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 13 იანვრის N01 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N70917, 26.01.2022წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება 2022 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 13 იანვრის N01 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული პირობების:

ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ცნობა მაგისტრატურის/დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ გაცემული საქართველოს მხრიდან გამგზავნი უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის გაზაფხულის სემესტრის პერიოდში (ქართულად და ინგლისური თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ)";

ბ) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ცნობა მაგისტრატურის/დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ გაცემული საქართველოს მხრიდან გამგზავნი უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის გაზაფხულის სემესტრის პერიოდში (ქართულად და ინგლისური თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ)";

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსტაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში- ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

ჯაბა სამუშია